№90/თ

„21“ იანვარი, 2026 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას საქმეების განაწილებაზე, ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების შესახებ შეტყობინებაზე, ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების აღმოფხვრისას მოხსენებითი ბარათის გაგზავნაზე და რიგითობის წესით განაწილებულ საქმეთა სისტემაში ასახვის უზრუნველყოფაზე სასამართლოს კანცელარიის უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №20-ით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-6 მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას საქმეების განაწილებაზე, ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების შესახებ შეტყობინებაზე, ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების აღმოფხვრისას მოხსენებითი ბარათის გაგზავნაზე და რიგითობის წესით განაწილებულ საქმეთა სისტემაში ასახვის უზრუნველყოფაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ სასამართლოს კანცელარიის შემდეგი თანამშრომლები:

რუსთავის საქალაქო სასამართლოში:

ა) მარინე იასეშვილი – რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი - II რანგის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ბ) ლანა კაპანაძე – რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების წამყვანი სპეციალისტი – III რანგის – მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში:

ა) ნატა მაისურაძე – რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სპეციალისტი - IV რანგის - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი.

2. ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას რუსთავის საქალაქო სასამართლოში მარინე იასეშვილს და ლანა კაპანაძეს, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში ნატა მაისურაძეს ევალებათ:

ა) გაანაწილონ საქმეები რიგითობის წესით, რაც გულისხმობს მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილებას საქმეთა შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა გვარის ანბანური რიგითობის მიხედვით;

ბ) რიგითობის წესით საქმეები გაანაწილონ იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული სისტემის შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება 2 დღეს, გარდა დაუყოვნებლივ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებისა, ასევე იმ საქმეებისა, რომელთა განხილვის ვადა 24, 48 ან 72 საათია. აღნიშნული საქმეები გაანაწილონ, თუ ელექტრონული სისტემის შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება სამ საათს;

გ) ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების შესახებ შეატყობინონ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სასამართლო მანეჯმენტის დეპარტამენტს, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და ელექტრონული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ პირს, ამასთან უზრუნველყონ შესაბამისი აქტების გაფორმება;

დ) ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების აღმოფხვრისას მიმართონ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღინიშნება ინფორმაცია მათ მიერ განაწილებულ საქმეთა შესახებ;

ე) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმირების შემდეგ, უზრუნველყონ რიგითობის წესით განაწილებულ საქმეთა ელექტრონულ სისტემაში ასახვა, შემდეგი აღნიშვნით: „ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე";

ვ) ელექტრონულ სისტემაში ნებისმიერი ხარვეზის წარმოშობისას, რომელიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №20-ით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესით", უფლებამოსილნი არიან გაანაწილონ საქმეები რიგითობის წესის დაცვით. ამ შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №20-ით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის" მე-6 მუხლით დადგენილი წესი.

3. მალადაკარგულად გამოცხადდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2025 წლის 24 ივლისის №436/თ ბრძანება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ბოსტან ქალაქის ქ. N6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე